**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

---

# ბიწაძე ბადრი რევაზის ძე

ბიწაძე ბადრი რევაზის ძე (დ.24. IV. 1960, სოფ. ცხრუკვეთი, ჭიათურის მუნიციპალიტეტი), იუსტიციის გენერალ-მაიორი (1998).

საქართვ. მთავარი სამხ. პროკურორი, (1997-2001), დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი (1984), 1991- მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების პრობლემების საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ასპირანტურა, 1992-იდან - იურიდ. მეცნ. კანდიდატი 1984-იდან. მუშაობს პროკურატურის სისტემაში.

1987 იყო თბილ. პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყ-ბის 1988 - თბილ. პროკურატურის საგამოძიებო განყ-ბის პროკურორი, 1991-92- საქართვ. რესპ. პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს, 1992–96 - თბილისის კრწანისის რ-ნის, 1996-97- ნაძალადევის რ-ნის პროკურორი, 2001-03 – საქართველოს გენ. პროკურორის I მოადგილე.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1997) და მედლებით.

***ლ. დოლიძე***

---